**შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭოს სხდომის**

**ო ქ მ ი N 1**

**2025 წლის 26 მარტი, ქალაქი ონი**

**სხდომას ესწრებოდნენ:**

**მანანა ჩაგელიშვილი** - მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდობის საქმეთა, ბავშვის უფლებების დავისა და მხარდაჭერის სამსახურის უფროსი, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭოს წევრი;

**ხათუნა ღუღუნიშვილი** -განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა განყოფილების უფროსი, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭოს წევრი;

**მარინე რაზმაძე** - სოციალური და ჯანმრთელობის დაცვის განყოფილების უფროსი, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭოს წევრი;

**თამაზ გოგლიძე**- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭოს წევრი;

**ლამარა გამყრელიძე** - მუნიციპალიტეტის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდობის საქმეთა, ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის სამსახურის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი განათლების საკითხებში, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭოს მდივანი.

**საპატიო მიზეზით სხდომას არ ესწრებოდა:**

**სერგო ხიდეშელი** - შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭოს თავმჯდომარე, მუნიციპალიტეტის მერი;

**ია ალიბეგაშვილი** -შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭოს წევრი.

**სხდომა მიყავდა:**

**ლევან შერაზადიშვილს** - შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე.

შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე, ლევან შერაზადიშვილი, მიესალმა საბჭოს წევრებს, სხდომაზე განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით მოწვეულ პირებს და აღნიშნა, რომ დღევანდელი სხდომა, უფლებამოსილია შეუდგეს მუშაობას. ამის შემდეგ, მან

შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭოს წევრებს, გააცნო სხდომის დღის წესრიგი

**დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი:**

1.მუნიციპალიტეტში მცხოვრებ ბავშვთა განვითარებისკენ მიმართული ადრეული ჩარევის მიწოდებასთან დაკავშირებით, მათ შორის შშმ ბავშვებისათვის, 2024-2025 სასწავლო წელს, ადრეული განვითარებისთვის შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების მიწოდების მდგომარეობის შესახებ, საბავშვო ბაგა-ბაღის მულტიდისციპლინური გუნდის წევრების მოსმენა.

**ლედი ჭუმბაშვილი-** ა(ა)იპ ონის მუნიციპალიტეტის ბაგა-ბაღის ფსიქოლოგი, ძირითადი მომხსენებელი;

2.მუნიციპალიტეტში მცხოვრები 0-დან 18 წლამდე ბავშვთა საჭიროებების შესწავლის გზით, მათთვის გადაუდებელი საჭიროებების თაობაზე, ბავშის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილების ხელმძღვანელის ანგარიში

**თამარ ლობჯანიძე** - ბავშვთა უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის გაყოფილების ხელმძღვანელი;

3.მუნიციპალიტეტში მუდმივად მცხოვრები შშმ პირების მუნიციპალური პროგრამებისა და პროექტების შემუშავების პროცესში ჩართულობის პრაქტიკის შესახებ

**თეიმურაზ გრძელიშვილი**-მერიის ეკონომიკის სამსახურის ხელმძღვანელი.

**მ ო ი ს მ ი ნ ე ს 1.:**

1.მუნიციპალიტეტში მცხოვრებ ბავშვთა განვითარებისკენ მიმართული ადრეული ჩარევის მიწოდებასთან დაკავშირებით, მათ შორის შშმ ბავშვებისათვის, 2024-2025 სასწავლო წელს, ადრეული განვითარებისთვის შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების მიწოდების მდგომარეობის შესახებ, საბავშვო ბაგა-ბაღის მულტიდისციპლინური გუნდის წევრების მოსმენა.

**ლედი ჭუმბაშვილი-** ა(ა)იპ ონის მუნიციპალიტეტის ბაგა-ბაღის ფსიქოლოგი, ძირითადი მომხსენებელი

მომხსენებელმა საბჭოს სხდომას მოახსენა, რომ მუნიციპალიტეტში, იმის გამო, რომ ჯერჯერობით არ ფუნქციონირებს ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებათა გაერთიანება, აღნიშნულ მოვალეობას ა(ა)იპ ონის მუნიციპალიტეტის ბაგა-ბაღი ასრულებს, რომელიც მულტიდისციპლინური გუნდის ჩართულობით, ცდილობს განახორციელოს მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ან/და ფაქტობრივად მცხოვრები 2-დან 7 წლამდე ასაკის განვითარების დარღვევის მქონე ბავშვებისათვის ადრეული ჩარევა. იმის გათვალისწინებით, რომ მუნიციპალიტეტმა შეძლო 2-დან 6 წლამდე ბავშვთა მაქსიმალური ჩართვა სკოლამდელ განათლებაში, ამან საგრძნობლად შეგვიწყო ხელი, უშუალო კომუნიკაციის გზით, გამოვლენილიყო ადრეული ჩარევის საჭიროების მქონე ბავშვები სოფლის დასახლებებშიც. სკოლამდელი განათლების ალტერნატიული ცენტრების აღმზრდელებთან ერთად, დავგეგმეთ განვითარების რისკის მქონე ბავშვების ადრეული

განვითარებისათვის ხელშემწყობი გარემოს შექმნა. ჩვენ უკვე დაგვიგროვდა გარკვეული გამოცდილებაც. მაგალითად, მშობელთან უშუალო კომუნიკაციის გზით, მოვახერხეთ სოფელ წედისის ოჯახზე დაფუძნებული ალტერნატიული სკოლამდელი განათლების ცერნტრის აღმზრდელთან ერთად, აღსაზრდელი ნიკოლოზ მაისურაძე გაგვეგზავნა სპეციალურ დაწესებულებაში, სადაც მას უკვე დაუდგინდა სპეციალისტების მიერ, რომ ის არის სპეციალური საგანმნათლებლო საჭიროებების მქონე ბავშვი, ასევე საჭიროებს დამატებით კვლევებს დიაგნოზის დასადგენად. აღმზრდელს გადავეცით მეთოდური სახელმძღვანელოები, როგორც ბავშვთან, ასევე მშობელთან მუშაობაში დასახმერებლად. მულტიდისციპლინური გუნდი აქტიურად ჩაერთვება ალტერნატიულ ცენტრში ამ მიმართულებით მუშაობაში.

სპეციალური საგანმანთლებლო საჭიროების მქონეა სოფელ ცხმორში მცხოვრები ბავშვი. ჩვენი ამოცანაა მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ან/და ფაქტობრივად მცხოვრები 0-7 წლის ასაკის ბავშვებისათვის ადრეული განვითარების ხელშეწყობა, მათი პოტენციალის სრულად გამოვლენა, განვითარების ეტაპების დარღვევის დროული იდენტიფიცირება და ინკლუზიური განათლების მხარადაჭერა. ამისათვის, წელიწადში ორჯერ, მულტისციპლინური გუნდის წევრები და ჯგუფის აღმზრდელები, ახდენენ ბავშვის შეფასების ფორმაბის შევსებას და საჭიროების მიხედვით ინდივიდუალური გეგმების შემუშავებას. იმის გამო, რომ ჯარჯერობით ქვეყანაში არ ხორციელდება ადრეული სკოლამდელი განათლება,(0 - დან 2 წლამდე) გამოწვევას წარმოადგენს 2 წლამდე ბავშვების განვითარების ეტაპების დარღვევის იდენტიფიცირება. შესაბამისად, შეიძლება არსებობდეს მომსახურებისათვის მაღალი საჭიროება, რომელიც მოახდენდა ბენეფიციართა დროულ იდენტიფიცირებას და შესაბამისი მომსახურების მიწოდებას. ამ მიმართულებით, ვფიქრობთ ხარვეზის გამოსასწორებლად, რაც შეიძლება დროულად დავგეგმოთ აქტივობები. ჩვენი მოზანია ინკლუზიურ განათლებაში ისეთი ბავშვების ჩართვა, რომლებიც არიან 2-დან 7 წლამდე ასაკის ბავშვები და რომელთა განვითარებაშიც ვლინდება სოციალურ ემოციური, შემეცნებითი, აკადემიური სფეროების დაყოვნება, რომლებიც ავლენენ აგრესიულ, თვითდამაზიანებელი ქცევას, უჭირთ ურთიერთობა სხვა ბავშვებთან, ნაკლებ ინტერესს იჩენენ თამაშისადმი, უჭირთ დასწავლა, აქვთ მეტყველების პრობლემები ხშირად არიან უჩვეულოდ მოწყენილები, უჭირთ წესების დამორჩილება. ასეთ ბავშვებთან ინკლუზიის განსახორციელებლად ვითვალისწინებთ, როგორც ბაგა-ბაღში, ასევე ცენტრებში სივრცის მოწესრიგებას და ინვენტარით აღჭურვას სტანდარტების მიხედვთ;აღმზ რდელების, მულტიდისციპლინური გუნდის წევრების გადამზადებას. მშობელთა ჩართულობას, სპეციალური საჭიროების მქონე აღსაზრდელის იდენტიფიცირებას საბავშვო ბაღის მიერ(რომლებსაც სასწავლო-სააღმზრდელო პროცესში ჩართულობისათვის აქვთ მხარდაჭერის საჭიროება) და ადრეული განვითარების მომსახურებაში ჩართვას, საინფორმაციო/საგანმანათლებლო ჯგუფურ შეხვედ რებს მშობლებთან, ადრეული განვითარების ხელშემწყობი გუნდის რეგულარულ კოორდინაციას და კომუნიკაციას მშობლებთან, აღმზრდელებთან და პირველადი ჯანდაცვის რგოლთან.მულტიდისციპლინუ რი გუნდის მიერ, ბავშვის სიღრმისეულ შეფასებას (ბავშვზე დაკვირვება, სიღრმისეული შეფასება) და დასკვნა-რეკომენდაციის შემუშავებას, განვითარების ინდივიდუალური გეგმის (შემდგომში „გიგ“) შემუშავებას ან/და საჭიროების მიხედვი გადამისამართებას შესაბამის სახელმწიფო სერვისში და ა.შ.კარგი იქნება თუ ამ პროცესში ჩაერთვება ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილება და ჩვენ ერთობლივად იმედია,კიდევ მეტის გაკეთებას შევძლებთ.

ჩვენ, ყოველ თვეში, სახელმწიფო სტანდარტიდან გამომდინარე, ვამზადებთ საგანმანათლებლო პროგრამას, შესაბამისი თვალსაჩინოებით, რომელსაც ვაწვდით ყველა აღმზრდელს, როგორც ტიპიურ სკოლამდელ დაწესებულებებში, ასევე ალტერნატიულ ცენტრებში, საანგარიშო თვის დასაწყისში. პერიოდულად ვახდენთ სახელმწიფო პროგრამის გავლის შეფასების მონიტორინგს. რა თქმა უნდა, აქ მოიაზრედბა სსმ ბავშვთა განვითარების შესაძლებლობები და მათთვის გამარტივებული სტანდარტის მიწოდებაც.

თვეში ერთხელ ვხვდებით ალტერნატიული ცენტრების აღმზრდელებს, რაც ემსახურება მათი კვალიფიკაციის შემდგომ ამაღლებას. ვისმენთ მათ ანგარიშებს სახელმწიფო სტანდარტის გავლის ხარისხის თაობაზე

მომხსენებელი შეეხო, სოფელ წედისის ოჯახზე დაფუძნებული სკოლამდელი განათლების ალტერნატიული ცენტრის აღსაზრდელის მდგომარეობას, რომელიც საჭიროებს რეაბილიტაცია- აბილიტაციის პროგრამაში ჩართვას, ასევე ბაგა-ბაღის აღსაზრდელების (გაგნიძეები) მდგომარეობას, რომელთაც სჭირდებათ სერიოზული სოციალური მხარდაჭერა.

**აზრი გამოთქვეს :**

**1.ლევან შერაზადიშვილმა,** მერის მოადილემ, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ, რომელმაც აღნიშნა, რომ ჩვენ პრაქტიკაში დავნერგეთ, კვირაში ერთხელ ჩამოგვეყვანა ალტერნატიული ცენტრებიდან ბავშვები, რომლებიც ბაგა-ბაღში თავიანთ თანატოლებთან ერთად, მთელი დღის მანძილზე ესწრებოდნენე ღის რეჟიმს. ამას დიდი მნიშვნელობა აქვს მათი სოციალიზაციისათვის. ახლა უკვე, თითქმის გავიდა ზამთარი და კარგი ამინდების შესაბამისად ეს პროექტი უნდა გაგრძელდეს. ჩვენს ბავშვებს აუცილებლად სჭირდებათ თანატოლებთან კომუნიკაცია, რაც მათი შემდგომი განვითარებისათვისაა სჭირო, რადგანაც ეს ბავშვები ჯგუფებში, ზოგგან მარტო არიან და ასეთი აქტივობა რა თქმა უნდა, მნიშვნელოვანია. ისიც უნდა აღვნიშნო, რომ ჩვენ უკვე გვაქვს შესაძლებლობა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე და სსმ ბავშვებს შევთავაზოთ კარგი პროგრამები. ამის შესაძლებლობას იძლევა ის, რომ მუნიციპალიტეტს გადმოეცა იაპონიის სახელმწიფოს მიერ, შშმ პირებისათვის ადაპტირებული მიკროავტობუსი,. საჭირო იქნება, პირველ რიგში, დაზუსტდეს სოფელ წდისის ალტერნატიულ ცენტრში ჩარიცხული ბავშვის აბილიტაცია-რეაბილიტაციის საჭიროებები და კვირაში სამი დღე მოვახდინოთ ბავშვის ტრანსპორტირება სარეაბილიტაციო ცენტრში, ქალაქ ამბროლაურში. თქვენ იცით, რომ მეტრეველების ოჯახი ბავშვის რეაბილიტაცია-აბილიტაციის მიზნით იძულებული გახდა და საცხოვრებლად გადავიდა ამბროლაურში, სადაც დაიქირავა ბინა, იმის გამო, რომ ვერ ახერხებდა ონიდან სიარულს. ახლა ამ ტრანსპორტით ამავე ოჯახის მომსახურებასაც შევძლებთ. ავტობუსს არ სჭირდება საწვავი, ის არის ელექტრომობილი. მეტრეველების ოჯახის მომსახურებასაც შევძლებთ და ისევ დაუბრუდებიან თავის საცხოვრებელ ადგილს. მიმაჩნია, რომ ჩვენი მხრიდან ეს გარკვეულ მხარდაჭერად უნდა ჩაითვალოს, რაც მახარებს.

2. **მარიამ რაზმაძემ**-სოციალური და ჯანმრთელობის დაცვის განყოფილების ხელმძღვანელი, რომელმაც აღნიშნა, რომ სოფელ წედისის სკოლამდელი განათლების ალტერნატიულ ცენტრში ჩარიცხული ბავშვის მშობელმა, ჩვენც მოგვმართა სოციალური დახმარების გაწევის მიზნით. მშობელს გაეწია კონსულტაცია, თუ როგორ უნდა ჩაერთოს რეაბილიტაციის პროგრამაში, რა დოკუმენტები უნდა წარმოადგინოს. ამის შემდეგ კი, როგორც წარმოადგენს შესაბამის დოკუმენტებს, მოქალაქეს გაეწევა სოციალური დახმარება. ეს დახმარება

გულისხმობს სარეაბილიტაციო-სააბილიტაციო თანხას, რომლის მოცულობა შეადგენს 1000 ლარის ფარგლებში დახმარებას.

**3. თამარ ლობჯანიძემ** - ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილების ხელმძღვანელი. მან აღნიშნა, რომ ამ დოკუმენტების წარმოდგენის შემდეგ, ჩვენი პროგრამებიდანაც შევძლებთ წედისში მცხოვრები ნ.მ.ს დახმარებას, რაც შესაძლებელს გახდის ბავშვს ნაწილობრივ შევუმსუბუქოთ კრიზისული მდგომარეობა.

**დ ა ა დ გ ი ნ ე ს 1.**

1. დადებითად ჩაითვალოს მუნიციპალიტეტში მცხოვრებ ბავშვთა განვითარებისკენ მიმართული ადრეული ჩარევის მიწოდებასთან დაკავშირებით, მათ შორის შშმ ბავშვებისათვის, 2024-2025 სასწავლო წელს, ადრეული განვითარებისათვის შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების მიწოდების მიმართულებით ა(ა)იპ ონის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაგა-ბაღის მიერ გაწეული მუშაობა;

2. დაევალოს ა(ა)იპ ონის მუნიციპალტეტის ბაგა-ბაღის დირექტორს მზია გუგეშაშვილს, განაახლოს პროგრამა, სკოლამდელი განათლების ალტერნატიული ცენტრების ბავშვთა გადმოყვანასტან დაკავშირებით, თვეში ერთხელ მაინც და თანატოლებთან ერთად, სასწავლო-სააღმზრდელო პროცესში მათი ჩართვა;

3. დაევალოს განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდობის საქმეთა, ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის სამსახურს, ერთი კვირის ვადაში, მოამზადოს ა(ა)იპ ონის ბაგა-ბაღში ალტერნატიული ცენტრებიდან ბავშვთა ტრანსპორტირების გრაფიკი. უსაფრთხოების დაცვის მიზნით, მშობლის ჩართულობით და გადაუგზავნოს სახელმძღვანელოდ ა(ა)იპ ონის მუნიციპალიტეტის ბაგა-ბაღის ადმინისტრაციას;

4. მარიამ რაზმაძემ, სოციალური და ჯანმრთელობის დაცვის განყოფილების ხელმძღვანელმა, კონტროლზე აიყვანოს სოფელ წედისში მცხოვრები ნ.მ-ს მშობლისათვის შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოდგენისთანავე, ბავშვის რეაბილიტაცია- აბილიტაციის პროგრამაში ჩართვა, ასევე საჭიროების მიხედვით, მუნიციპალიტეტში მცხოვრები მსგავსი საჭიროების მქონე ბავშვთა ტრანსპორტირება, ამბროლაურის სარეაბილიტაციო ცენტრში.

**მოისმინეს 2.**

მუნიციპალიტეტში მცხოვრები 0-დან 18 წლამდე ბავშვთა საჭიროებების შესწავლის გზით, მათთვის გადაუდებელი საჭიროებების თაობაზე, ბავშის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილების ხელმძღვანელის ანგარიში

**თამარ ლობჯანიძე** - ბავშვთა უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის გაყოფილების ხელმძღვანელი;

მოგეხსენებათ, თქვა მომხსენებელმა, რომ საქართველოს მთავრობამ, ადგილობრივი თვითმმართველობის დონეზე, მუნიციპალიტეტებს უმნიშვნელოვანესი როლი დააკისრა ბავშვების ძალადობისგან დაცვის, სოციალურად დაუცველი ოჯახებისა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების დახმარების საქმეში. ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილება სწორედ იმიტომ შეიქმნა, რომ მართოს მუნიციპალიტეტის კომპეტენციას მიკუთვნებული ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის სისტემა.

ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილების მიზანია ხელი შეუწყოს ბავშვების უფლებების და თავისუფლებების რეალიზებას, მათი ღირსების დაცვას, კეთილდღეობის, უსაფრთხოების, სიცოცხლის, ჯანმრთელობის დაცვის, განათლებისა და სხვა ინტერესების რეალიზებასა და დაცვას, ბავშვისადმი უთანასწორო მოპყრობის გარეშე.

განყოფილებამ, შექმნისთანავე, დაიწყო ონის მუნიციპალიტეტში მცხოვრები კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი ბავშვიანი ოჯახების საჭიროებების შესწავლა და შესაბამისად, შეიქმნა 0-18 წლამდე სოციალური საფრთხის წინაშე მყოფი ბავშვიანი ოჯახების ერთიანი ბაზა. დღეის მდგომარეობით ბაზაში დაფიქსირებულია 75 ოჯახი. იმის შემდგომ, რაც ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 25 იანვრის N4 დადგენილებით განხორციელდა ცვლილება საკრებულოს 2022 წლის 27 ოქტომბრის N22 დადგენილებაში „ონის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის პროგრამის და მიზნობრივი დახმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“, პროგრამაში შევიდა ცვლილება, კერძოდ: თანხა 300 ლარი გაიზარდა 500 ლარამდე და შესაბამისად, 2024 წლიდან თითოეული ოჯახის გაძლიერების მიზნით, გაიცა თანხა თითოეულ ოჯახზე, 500 ლარის ოდენობით, რაც ნაწილობრივ უზრუნველყოფს კრიზისულ სიტუაციაში მყოფი ბავშვიანი ოჯახის სოციალურ-ეკონომიური სირთულეებისა და სხვა არსებული საჭიროებების დაძლევას.

2024 წელს ბიუჯეტიდან გამოყოფილი იყო თანხა 7500 ლარის ოდენობით, რამაც საშუალება მოგვცა, დახმარება გაგვეწია 15 ბავშვიანი ოჯახისთვის.

ვაგრძელებთ „ონის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული, 0-18 წლამდე, სოციალური საფრთხის წინაშე მყოფი ბავშვიანი ოჯახების მონაცემთა ბაზის განახლებას, როგორც მოგახსენეთ, დღეის მდგომარეობით აღნიშნულ ბაზაში გვყავს 75 ბენეფიციარი, შესწავლილია თითოეული ოჯახის შესაძლებლობები და ბავშვთა საჭიროებები. ადგილზე მისვლით, კვლავ ვაგრძელებთ ბავშვიანი ოჯახების შესწავლას. 2025 წელს კი, ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხა 10000 ლარი, საშუალებას მოგვცემს დახმარება გავუწიოთ 20 კრიზისულ სიტუაციაში მყოფ ბავშვიან ოჯახს. დღეის მდგომარეობით, 2025 წელს, უკვე ჩვენი პროგრამის ფარგლებში, დახმარება გავუწიეთ 4 ბავშვიან ოჯახს, მიმდინარეობს 1 განაცხადის მიხედვით, ოჯახის საჭიროებების შესწავლა.

მინდა აღვნიშნო, რომ ჩვენს მუნიციპალიტეტში საკმაოდ არიან ბავშვიანი ოჯახები, რომელთაც აქვთ გადაუდებელი საჭიროებები, ჩვენ ვსწავლობთ ამ ოჯახების საჭიროებებს, რასაც ვაფიქსირებთ სკრინინგის ფორმაში და პროგრამის ფარგლებში ოჯახებს ვუწევთ დახმარებას მათი ოჯახების საჭიროებათა დასაძლევად. გვყავს ოჯახები, რომელთათვისაც ჩვენი პროგრამით დახმარება არ აღმოჩნდა საკმარისი, მათ განსაკუთრებული ყურადღება ესაჭიროებათ.

რამოდენიმე ოჯახზე მინდა საბჭოს ყურადღება შევაჩერო. მაგალითად, სოფელ ცხმორში მცხოვრები ლალი მაისურაძის ოჯახი. ბავშვების საყოფაცხოვრებო პირობების გასაუმჯობესებლად, მუნიციპალიტეტის მერიამ უზრუნველყო წყლის მიყვანისა და მოწყობის სამუშაოები. გასულ, 2024 წელს ოჯახს, ჩვენი პროგრამის ფარგლებში გაეწია დახმარება, 500 ლარის ოდენობით, რაც ნაწილობრივ დაეხმარათ სოციალურ -ეკონომიკური სირთულეებისა და მათ წინაშე არსებული სპეციალური საჭიროებების დაძლევაში.

განსაკუთრებულ ზრუნვას მოითხოვს ქ. ონში მცხოვრები თამარ კაკრიაშვილის ოჯახი თამარის შვილი, დაჩი ბრეგვაძე დაავადებულია ცერებრული დამბლით, ამ ოჯახსაც გასულ წელს მუნიციპალური პროგრამით გავუწიეთ დახმარება, ამ პერიოდში, დაჩის მამა იმყოფებოდა პენიტენციურ დაწესებულებაში. თამარს გაეწია კონსულტაცია ბავშვისათვის შშმ

პირის სტატუსის მინიჭების თაობაზე. ბავშვს და მის ოჯახს გადაეცა საჩუქრები, რაშიც დახმარება გაგვიწია დეპუტატის ბიუროს წარმომადგენელმა.
საბჭოს განსაკუთრებული ყურადღება მინდა მივაპყრო იზაბელა ჩიკვილაძის ბავშვების საჭიროებების მიმართ. გასულ წლებში იზაბელა ჩიკვილაძე, რომელსაც ყავს ორი მცირეწლოვანი შვილი კესანე გაგნიძე და ლუკიანა გაგნიძე, ცხოვრობდა სოფელ სორში, თვითონ იზაბელაც მცირეწლოვანი იყო, მას 2024 წლის 13 დეკემბერს შეუსრულდა 18 წელი. ის მეუღლის ლუკა გაგნიძის დაღუპვის შემდეგ, ცხოვრობდა მამასთან, მამუკა ჩიკვილაძესთან ერთად, რომელიც სამწუხაროდ გარდაიცვალა გასულ წელს. ჩვენი სამსახურის მიერ შესწავლილი იქნა აღნიშნული ოჯახის სოციალური მდგომარეობა და მათზე, როგორც სოციალური საფრთხის წინაშე მყოფ ბავშვიან ოჯახზე, გაცემული იქნა დახმარება „ონის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის პროგრამის და მიზნობრივი დახმარების გაცემის წესი“-ს პროგრამის ფარგლებში. იზაბელამ შეიცვალა საცხოვრებელი და სოფელ სორიდან საცხოვრებლად გადმოვიდა ქ. ონში ნაქირავებ ბინაში. ამ პერიოდში გამოიცვალა რამოდენიმე ბინა. ის დასაქმებული არ არის, ამის გამო, სათანადოდ ვერ უზრუნველყოფს ბავშვების მოვლას და მათი საჭიროებების დაკმაყოფილებას. ი.ჩიკვილაძესთან მუდმივად ვართ კომუნიკაციაში. ვიგებდით ბავშვების მდგომარეობას, რამოდენიმეჯერ კი სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს რაჭა-ლეჩხუმი, ქვემო სვანეთის რეგიონული ცენტრის ონის რაიონული წარმომადგენლობის სოციალურ მუშაკთან, ირმა ჩიკვილაძესთან ერთად, ვიმყოფებოდი ბავშვების ოჯახში მათი საცხოვრებელი პირობების და საჭიროებების შესასწავლად. მონიტორინგით დადგინდა, რომ მდგომარეობა მაინცდა მაინც სახარბიელო არ იყო. ბოლო ვიზიტის დროს, ბავშვები არ დაგვხვდნენ სახლში, ბებიასთან იმყოფებოდნენ. საერთო მდგომარეობის შეფასების შემდეგ, მიზანშეწონილად ჩაითვალა, რომ დაწყებულიყო აღნიშნული ოჯახის მიმართ რეფერირების პროცესი და იზაბელას ბავშვების მდგომარეობის დამატებით, საფუძვლიანი შესწავლა. მცირეწლოვნების საჭიროებების დადგენის მიზნით, წერილობით მივმართეთ სსიპ - სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა,დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონული ცენტრის უფროსი სოციალური მუშაკი/უფროსს თამარ ჯაფარიძეს. მანამდე კი, სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანერლთან გაიმართა თათბირი, სადაც მოწვეული იყო სოციალური მუშაკი ირმა ჩიკვილაძე. თათბირზე გაწერილი გეგმის მიხედვით ოჯახთან გაიმართა არაერთი შეხვედრა, სადაც ჩავრთეთ ოჯახის სხვა წევრები, ბავშვების მამის მხრიდან.

ვიზიტების დროს გამოიკვეთა გარკვეული სირთულეები, კერძოდ, მდგომარეობიდან გამომდინარე, შიქმნა აზრი იმის თაობაზე, რომ შეიძლება საჭირო გახდეს ბავშვების მინდობით აღზრდაში გადაცემა, რაც სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს რაჭა-ლეჩხუმი, ქვემო სვანეთის რეგიონულმა ცენტრმა უნდა განიხილოს, გადაწყვიტოს და წარმართოს საჭირო პროცედურები. შემდგომისათვის, ცენტრის ონის რაიონული წარმომადგენლობის სოციალურმა მუშაკმა დაგეგმა შეხვედრა, სადაც მოწვეული უნდა ყოფილიყო რეგიონული ცენტრის ხელმძღვანელი თამარ ჯაფარიძე და ჩვენი სამსახურის წარმომადგენლები, ასევე იზაბელა თავის ოჯახის წევრებთან ერთად, მაგრამ შეხვედრა ვერ შედგა, რადგან იზაბელა ჩიკვილაძემ ბავშვები, მოულოდნელად წაიყვანა ქ. ქუთაისში. დავადგინეთ, რომ ი. ჩიკვილაძე ამ დროისათვის ცხოვრობს ვინმე თამარ კაკრიაშვილთან ერთად. ჩვენ არ ვიცით, რა გარემოებაში უწევთ ბავშვებს ცხოვრება, ამის გამო მიზანშეწონილად ვთვლით, ჩვენი კომპეტენციის ფარგლებში, აღნიშნულ ცენტრთან თანამშრომლობით, გაგრძელდეს ბავშვების მდგომარეობის მუდმივი მონიტორინგი.

მუნიციპალიტეტში მცხოვრებ 0-დან 18 წლამდე ბავშვთა საჭიროებების შესწავლის და მათთვის გადაუდებელი საჭიროებების თაობაზე ოჯახებთან, მუდმივად გვაქვს კავშირი. ჩვენი რესურსების ფარგლებში, სამომავლოდაც მაქსიმალურად გავაკეთებთ ყველაფერს, ვიქნებით მოტივირებულები, რათა შევძლოთ გამოვავლინოთ საჭიროებების მქონე ოჯახების მდგომარეობა და დავგეგმოთ აქტივობები დახმარების გაწევის მიზნით.

**აზრი გამოთქვეს:**

**1.ლევან შერაზადიშვილმა** -მერის მოადგილე, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, რომელმაც აღნიშნა, რომ გადაუდებლად საჭიროა მიზნობრივი აქტივობების დაგეგმვა, რათა ოპერატიულად გაირკვეს ბავშვების მდგომარეობა, სად და რა პირობებში და ვისთან ცხოვრობენ. სასწრაფოდ უნდა დავუკავშირდეთ სააგენტოს, ასევე გაიგზავნოს მერიის სახელით ინფორმაცია-შეტყობინება შესაბამის სამსახურთან, რათა მათი ჩართულობით, გაირკვეს ბავშვების მდგომარეობა. საკითხი ნამდვილად საჭიროებს ოპერტიულ ჩარევას. უნდა მოვამზადოთ წერილი მუნიციპალიტეტის უფლებამოსილების ფარგლებში და ვაცნობოთ ქალაბატონ თამარ ჯაფარიძეს ვითარების შესახებ, რათა ურთიერთკოორდინაციის გზით, მივიდეთ შედეგამდე. ჩვენს ინტერესშია, შვქმნათ სრული გარანტირბი, რომ ბავშვები იყვნენ სტაბილურად უსაფრთხოდ.

**დაადგინეს 2:**

1.მიღებული იქნას ცნობად ბავშვთა უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილების ხელმძღვანელის თამარ ლობჯანიძის ანგარიში, მუნიციპალიტეტში მცხოვრები 0-დან 18 წლამდე ბავშვთა საჭიროებების შესწავლის გზით, მათთვის გადაუდებელი საჭიროებების თაობაზე;

2. ორი დღის ვადაში მომზადდეს და გადაიგზავნოს ინფორმაცია - შეტყობინება იზაბელა ჩიკვილაძის არასრულწლოვან ბავშვებთან დაკავშირებით, სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს რაჭა-ლეჩხუმი, ქვემო სვანეთის რეგიონული ცენტრში, მათი საჭიროებების განსაზღვრისა და შეფასების, პრობლემების იდენტიფიცირების მიზნით;

3.ბავშვის უფლების დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილების მუდმივი ყურადღება დაეთმოს 0-დან 18 წლამდე ბავშვთა საჭიროებების დროულ შესწავლას, ასევე განყოფილების დებულებით განსაზღვრული სხვა ვალდებულებების შესრულებას.

**მ ო ი ს მ ი ნ ე ს 3.**

მუნიციპალიტეტში მუდმივად მცხოვრები შშმ პირების მუნიციპალური პროგრამებისა და პროექტების შემუშავების პროცესში ჩართულობის პრაქტიკის შესახებ

**თეიმურაზ გრძელიშვილი**- მერიის ეკონომიკის სამსახურის ხელმძღვანელი

მომხასენებელი თ. გრძელიშვილი საკთხთან დაკავშირებით, შეეხო მუნიციპალური პროექტებისა და პროგრამების შემუშავების პროცესში, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა ჩართულობის მნიშვნელობას და აღნიშნა, რომ როგორც ქვეყნის მასშტაბით, ასევე ონის მუნიციპალიტეტის მერიისათვის, ონის მუნიციპალიტეტის მდგრადი განვითარების

მიზნების შესაბამისად, აქტუალური და პრიორიტეტულია შშმ პირების ჩართულობა მუნიციპალური პროგრამებისა და პროექტების შემუშავების პროცესში. მუნიციპალური პროგრამების დაგეგმვის დროს, მერის წარმომადგენლის (შესაბამის თემში) მეშვეობით, დამკვიდრებული პრაქტიკის შესაბამისად, ხდება მოსახლეობის, მათ შორის შშმ პირების ინფორმირება მერიის შესაბამის სამუშაო ჯგუფთან შეხვედრის შესახებ. შეხვედრის დროს სხვა მნიშვნელოვან საკითხებთან ერთად, განსაკუთრებული მსჯელობა ეთმობა შშმ პირების მაქსიმალურ ჩართულობას საზოგადოებრივ ცხოვრებაში, ყურადღება ეთმობა მათ უნარ-ჩვევების გამოვლინებას შესაძლო დასაქმების შემთხვევაში, რომ გახდნენ უფრო მეტად აქტიურები. გასულ წლებში შეხვედრებზე გამოთქმულმა მოსაზრებებმა და შემოსულმა განცხადებებმა, ცხადყო შშმ პირთა საზოგადოებრივ საქმიანობაში ჩართულობის აქტუალურობა და პროაქტიულობა. მათ მიერ გამოთქმული წინადადების შესაბამისად, რომელიც გადაადგილების პრობლემებს შეეხებლდა, აღნიშნულის გთვალისწინებით, ონის მუნიციპალიტეტის მერიამ, იაპონიის საელჩოსგან მოიპოვა გრანტი, რომლის ფარგლებშიც 2024 წელს განხორციელდა ელექტრო მიკროავტობუსის შეძენა. მიკროავტობუსი ადაპტირებულია შშმ პირთათვის, უკვე შეირჩა მარშრუტიც მუნიციპალიტეტის სოფლების რამდენიმე მიმართულებაზე: ზუდალი-კვაშხიეთი-შქმერი, ბარი-მრავალძალი, ქვედი - წედისი - ირი. ამასთან, ამ ეტაპზე მუშავდება სოციალური პროგრამა, რომლის ფარგლებში მოხდება ხსენებული მიკროავტობუსის მხოლოდ შშმ პირთა სხვადასხვა საჭიროებებზე მორგება, პროგრამის დასრულება იგეგმება მიმდინარე წლის აგვისტოს თვემდე. ეს ყველაფერი კი მიმართულია იმისკენ, რომ შშმ პირთა ჩართულობა მუნიციპალიტეტში გადაწყვეტილებების მიღების პროცესში, კიდევ უფრო აქტიური გახდეს.

**დ ა ა დ გ ი ნ ე ს 3.**

1.მიღებული იქნას ცნობად, მერიის ეკონომიკის სამსახურის ხელმძღვანელის თეიმურაზ გრძელიშვილის ინფორმაცია, მუნიციპალური პროგრამებისა და პროექტების შემუშავების პროცესში მუნიციპალიტეტში მუდმივად მცხოვრები შეძღუიდული შესაძლებლობის მქონე პირების ჩართულობის პრაქტიკის შესახებ.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა

საკითხებზე მომუშავე საბჭოს თავმჯდომარის

მოადგილე - ლევან შერაზადიშვილი

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა

საკითხებზე მომუშავე საბჭოს

მდივანი- ლამარა გამყრელიძე